ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41251812**
თარიღი:**30/06/2025**

შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო -პოლიკლინიკური გაერთინების'' 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების“ 2024 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების"

ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმო შპს "სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება" -ში ფუნქციონირებს 8 ამბულატორიული კაბინეტი. დასაქმებულია სულ 23 თანამშრომელი :

ექიმი - 10

მ.შ. ოჯახის ექიმი;

ლაბორანტი;

უროლოგი;

ტრავმატოლოგი;

რენტგენოლოგი;

რადიოლოგი;

ნერვოპათოლოგი;

ქირურგი;

ენდოკრინოლოგი;

ეპიდემიოლოგი.

მედდა - 4

ლაბორანტი -1

დამლაგებელი - 1

ადმინისტრაციული პერსონალი - 4

სხვა დანარჩენი მომსახურე პერსონალი - 3

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 11 დეკემბრიდან ქირურგიული განყოფილების დახურვის გამო სამუშაოდან განთავისუფლდა 9 თანამშრომელი .

განთავისუფლებულ თანამშრომლებზე 2024 წ. უკანასკნელი - ნოემბრის თვის (2023 წ). ხელფასის შესაბამისად გაცემულ იქნა 2 თვის კომპენსაცია, თვეში 13477,92 ლარი სულ 26955,84 ლარი

შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების " ძირითადი საქმიანობაა მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის პოლიკლინიკური სამედიცინო დახმარების გაწევა.

საწარმოს 2024 წელს მიენიჭა ISO 9001:2015 სტანდართთან შესაბამისობის სერთიფიკატი შპს „ეკო-სპექტრის" მიერ.

საწარმო 2013 წლის ოქტომბრიდან ჩართულ იქნა მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში - გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურეობა .

მოსახლეობას გადაუდებელ ამბულატორიულ მომსახურეობას უწევს 4 კაბინეტი.

ოჯახის ექიმის კაბინეტი;

უროლოგის კაბინეტი;

ქირურგის კაბინეტი;

ტრავმატოლოგის კაბენეტი.

სამედიცინო დახმარების ხარისხიანი , თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა დონეზე მიწოდება მნიშვნელოვან წილად გაზრდის პაციენტთა კლინიკისადმი მომართვიანობას.

უკანასკნელ წლებში საავადმყოფო- პოლიკლინიკური გაერთთიანება საკუთარი სახსრებით აღიჭურვა ახალი სამედიცინო აპარატურით: ელკარდიოგრაფი, ექოსკოპიის აპარატი, რენტგენის აპარატი, აპარატები ლაბორატორიული განყოფილებისათვის.

განახლდა საოფისე ავეჯი.

საწარმოს გააჩნია ელგენერატორი. ფუნქციონირებს გაზით გათბობის სისტემა.

2024 წ. ჩატარდა სარემონტო - სარეაბილიტიზაციო სამუშაოები პოლიკლინიკის კაბინეტების მიხედვით , მოეწყო შშმ პირთათვის ტუალეტი, სულ სარემონტო - სარეაბილიტიზაციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 13550 ლარი .

საწარმოს განვითარების კონკრეტული მიზნებია - წარმოების გაფართოება, მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება, მოგების გადიდება, დავალიანებების დაფარვა და სხვა.

2024 წელს ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 341899 ლარი.

მ. შ.

შიდა სტანდარტებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 227386 ლარი.

მ.შ. კაბინეტების მიხედვით:

ლაბორატორია - 122911 ლარი;

ტრავმატოლოგი - 41348 ლარი;

უროლოგი- - 24322 ლარი;

რადიოლოგი - 14970 ლარი;

რენტგენი - 14645 ლარი;

ნერვოპათოლოგი- 3870 ლარი;

ქირურგი - 3860 ლარი;

ენდოკრინოლოგი - 900 ლარი.

სსიპ ეროვნული ჯანდაცვა - 114513 ლარი ;

სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ბრძანება NHA 22300918219 31.08. 2023 წ. 2023 წ. ის 4 სექტემბრიდან , „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გადმოცემული ინფორმაციის 2023 წლის იანვრიდან - ივნისის ჩათვლით სტატისტიკური დამუშავების შედეგად, შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებას" შეეზღუდა საყოველთაო ჯნმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში ახალი სამედიცინო შემთხვევების მართვის უფლება. დროებით საკითხის შესწავლის საბოლოო შედეგებამდე .

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების სამედიცინო შემთხვევების მართვის უფლება აღდგენილ იქნა 2024 წლის 8 თებერვლიდან .

შიდა სტანდარტით გატარებულია სულ 5663 პაციენტი.

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურეობა გაწეულია 1109 პაციენტზე.

31.12. 2024 წ. საწარმოს ერიცხებოდა ანგარიშსწორების ანგარიშზე

სს „ლიბერთი ბანკი" - 100916,21 ლარი .

სს „საქართველოს ბანკი"- 533,08 ლარი .

სალაროს ნაშთი შეადგენდა 1901,62 ლარი

საწარმოს 31. 12. 2024 წ. დებიტორული დავალიანება შეადგენს 56280,95 ლარს.

მ.შ.

1. სსიპ ჯან. დაცვის ეროვნული სააგენტო 42434,05 ლარი;
2. ს. ს საფოსტო ბანკი 2203 ლარი;
3. სად. კომპ. არქიმედეს გლობალჯორჯია 4245 ლარი;
4. შპს თვალის დიაგნ. ცენტრი 3275 ლარი;
5. სად .კომპანია ენვრონიუსი (ავად. ჯოლია) 1320 ლარი;
6. სხვა დანარჩენი 2803,90 ლარი

საწარმოს 31. 12. 2024 წ. კრედიტორული დავალიანება შეადგენს 5856,20 ლარს.

მ. შ.

1. მედნიუსი 2719 ლარი; (გადარიცხულია 2025 წლის 1 კვარტალში)

2. მედიქალ-ვორდი 1570 ლარი; (გადარიცხულია 2025 წლის 1 კვარტალში)

3. სხვა დანარჩენი 1567,10 ლარი

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წლის საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრას.

2024 წ. გაწეული დანახარჯი შეადგენს 379302 ლარს.

მ. შ. დარიცხული ხელფასი - 252271 ლარი;

კომპენსაცია (ქირურგიული განყოფილებიდან განთავისუფლებულ 9 პერსონალზე) 26955 ლარი

მედიკამენტები და სახარჯი მასალა - 18773 ლარი;

კომუნალური ხარჯები - 10297 ლარი

ამორტიზაციის ხარჯები - 27620 ლარი.

რემონტის ხარჯები - 13550 ლარი

შპს „ეკოსპექტრის" 5440 ლარი

სახანძრო - 2455 ლარი;

ფორმების დაბეჭდვა 1949 ლარი;

შპს მეტროლოგი (აპარატების დაკალიბრება) 1800 ლარი;

ინტერნეტი - 1723 ლარი.

სხვა დანარჩენი ხაჯები 16469 ლარი.

საწარმოს ზარალი შეადგენს 37403 ლარს.

საწარმომ უნდა გაზარდოს ავადმყოფის გამტარიანობა. განსაკუთრებული ყურადრება უნდა დაეთმოს მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეებთან

მუშაობის საკითხს. გააუმჯობესოს სადაზღვევო კომპანიებთან მუშაობა. მიაღწიოს მოგების გადიდებას.

დღეის მდგომარეობით ქირურგიული და თერაპიული განყოფილება არ ფუნქციონირებს სათანადო პირობების არ ქონის გამო.

პერსპექტივაში - მიმდინარეობს მოლაპარაკება კერძო კომპანიასთან ქირურგიული და თერაპიული განყოფილების რეაბილიტაციისა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

მინდა აღვნიშნო რომ შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება“ 2025 წლის 9 ივნისიდან გადავიდა სახელმწიფო ხაზინის ერთიან ელექტრონული მომსახურეობის სატემაზე.

შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური

გაერთიანების“

დირექტორი: /ა. ლომია/